



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 840

ქ. დუშეთი

30 ივნისი, 2016 წ.

პირის დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2016 წლის 27 მაისის N5141-III ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის N139 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას პირის დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ელნარ ჩოხელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ლაშა სალბიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ;
- გ) ანნა ძავაშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში - კომისიის მდივანი ;
- დ) ქეთევან კახურაშვილი - საკრებულოს წევრი - კომისიის წევრი;
- დე) გიორგი ცოკილაური - საკრებულოს წევრი - კომისიის წევრი;

2. ბრძანება გაეცნოთ ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი :



/ვ.ჩოხელი/

Handwritten signature and date: 28.06.2016



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო



KA011837119193616

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10, ფაქსი: (+995 32) 2-35-79-18, ცხელი ხაზი: (+995 32) 2-40-40-20, ელ.ფოსტა: info@psda.gov.ge, ვებ-გვერდი: www.ppsda.gov.ge

24 / ივნისი / 2016 წ.

N 01/162549

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ
ვაჟა ჩოხელს
ასლი: მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს, ბატონ
გოჩა ზევიძემს

ბატონო ვაჟა,


როგორც მოგეხსენებათ, 2016 წლის 27 მაისს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები (გამოქვეყნდა 2016 წლის 4 ივნისს), რომელთა თანახმად მუნიციპალიტეტების გამგებლებს/მერებს დაეკისრათ კონკრეტული ვალდებულებები.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებული იქნება, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის მიზნით შექმნას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებული კოლეგიური ორგანო - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისია, რომელიც გასცემს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის დამადასტურებელ ცნობას, რომლითაც პირს შეიძლება დაუდგინდეს საქართველოს მოქალაქეობა. აღნიშნული კანონის თანახმად, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში მუნიციპალიტეტების გამგებლები/მერები ვალდებული არიან, უზრუნველყონ პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ტიპური დებულებით დადგენილი წესით.

როგორც ცნობილია, 2016 წლის 23 ივნისს გამოიცა „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აქტიურად ჩართულია ზემოაღნიშნულ პროცესებში და ამასთან კომისიის საქმიანობაც უშუალო კავშირში იქნება ჩვენს ორგანიზაციასთან, გთხოვთ კომისიის შექმნის შესახებ აქტის გამოცემის შემდეგ მოგვაწოდოთ მისი ასლი, ასევე თავმჯდომარედ, მის მოადგილედ და მდივნად დანიშნული პირების შესახებ ინფორმაცია, ასევე მათი საკონტაქტო მონაცემები საჭიროებისამებრ შესაბამისი კომუნიკაციის შესაძლებლობისათვის.

პატივისცემით,



Handwritten number: 556

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი



გიორგი პატარიძე